



**ფარული მიყურადების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შეფასება
ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტების მიხედვით**

შინაარსი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლება, რომელიც ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლითაა გარანტირებული და საქართველოს მიერ 1999 წელს იქნა რატიფიცირებული, შეიძლება მუდმივად შელახვის რისკის წინაშე დადგეს, რადგან ფარული მიყურადების შესახებ საქართველოს შიდა კანონმდებლობა არ შეიცავს საკმარის გარანტიებს ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. საკანონმდებლო რეჟიმი არც წინასწარ განჭვრეტის მოთხოვნას აკმაყოფილებს და არც თვითნებური მოსმენისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ შეიცავს რაიმე დაცვის მექანიზმს, როგორც ეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტებითაა გათვალისწინებული.

- **დანაშაულთა კატეგორიები:** „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ფარული მიყურადება (გადაუდებელ და არაგადაუდებელ შემთხვევებში) შეიძლება მოთხოვნილი იყოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულის გამოძიებისას, როცა არსებობს პროკურორის დადგენილება. ასევე, ისეთი დანაშაულების აბსოლუტური უმრავლესობის გამოძიების დროს, რომელშიც არსებობს დაზარალებულის განცხადება, ან ისეთი დანაშაულის გამოძიებისას, რომელიც დასჯადია სისხლის სამართლის კანონმდებლობით და ითვალისწინებს სასჯელის მოხდას ორ წელზე მეტი ვადით.
- **პირთა კატეგორიები:** „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი კონკრეტულად არ განსაზღვრავს იმ პირთა კატეგორიებს, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს სატელეფონო მოსმენა თუმცა, მე-2 მუხლი, რომელშიც ჩამოთვლილია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები, იძლევა საშუალებას, დადგინდეს იმ პირთა კატეგორიები, რომლებიც შეიძლება ფარულ მიყურადებას დაექვემდებარონ. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს გონივრული ეჭვის სტანდარტებს. კოდექსის ზემოხსენებული მუხლების წაკითხვა საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ის პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ გონივრული ეჭვის შემონმების მოთხოვნას, შეიძლება მოხვდნენ იმ პირთა კატეგორიაში, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ ფარულ მიყურადებას. რაც შეეხება გარეშე პირებს, ანუ იმ პირებს, რომელთა წინააღმდეგაც არ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ ისინი შეიძლება რაიმე ფორმით დაკავშირებულნი იყვნენ საქმესთან, კანონი არაფერს ამბობს. *იმისათვის, რათა გამოირიცხოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, სპეციალურ კანონში კონკრეტულად უნდა იყოს ჩამოთვლილი იმ პირთა კატეგორიები, რომელთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფარული მიყურადება.*
- **ფარული მიყურადების მოთხოვნა გონივრული ეჭვის არსებობის საფუძველზე:** „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკონკრეტებს ეჭვის გონივრულობის მოცულობას იმ პირისადმი, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს ფარული მიყურადების მოთხოვნას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს გამოძიებისას გონივრული ეჭვის შემონმებას (მათ შორის საუბრის ჩანერა). *უკეთესი იქნება, თუ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი კონკრეტულად აღნიშნავს, რომ შემონმება ისევე პირდაპირ ეხება ჩანერას, როგორც ეს ხდება სხვა საგამოძიებო საქმიანობისას.*
- **ხანგრძლივობა:** „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არაფერს ამბობს იმ პერიოდზე, რომლის შემდეგაც მოსმენის ვადა ამოიწურება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 იანვრის რეკომენდაციის თანახმად, სასამართლო სატელეფონო მოსმენის ხანგრძლივობას განსაზღვრავს 1 თვის ვადით¹.

¹ <http://www.supremecourt.ge/news/id/301>

აღნიშნული შეესაბამება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, თუმცა დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას სავალდებულო ძალა არ აქვს. კანონში ასევე არაფერი წერია ფარული მიყურადების ვადის გაგრძელებაზე და იმაზე, თუ რამდენჯერ შეიძლება გაგრძელდეს იგი. *მნიშვნელოვანია, რომ კანონში კონკრეტულად იყოს აღნიშნული სათვალთვალო პერიოდის ხანგრძლივობის ლიმიტები, რათა არ მოხდეს სატელეფონო მოსმენის პრაქტიკის თვითნებური ან გადაჭარბებული ვადით გამოყენება.*

- **სატელეფონო მოსმენა უნდა იყოს უკიდურესი ზომა:** „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ამ საკითხზე არაფერს ამბობს. ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სატელეფონო მოსმენა შეიძლება ისეთ შემთხვევებშიც კი იქნას გამოყენებული, როცა არსებობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გამოყენების სხვა, უფრო მსუბუქი მეთოდებიც.
- **მიღებულ მონაცემთა შემოწმების, გამოყენების და შენახვის პროცედურა; უსაფრთხოების ზომები, რომლებიც დაცული უნდა იყოს მონაცემების სხვა პირებისთვის გადაცემისას;** „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს რამდენიმე დებულებას ფარული მიყურადების გზით მიღებული მონაცემების გამოყენების შესახებ. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას პირადი მონაცემების უკანონო გავრცელებისათვის. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს რაიმე პროცედურას უწყებებს შორის მონაცემთა გადაცემის შესახებ. *არ არსებობს ფარული მიყურადებით მიღებული მონაცემების ფილტრაციის, ამ მონაცემთა მთლიანობის და კონფიდენციალურობის შენარჩუნების, მათი შენახვის და განადგურების წესები.*
- **გარემოებები, რომლის არსებობისას ჩანაწერები შეიძლება ან უნდა წაიშალოს ან განადგურდეს:** „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი აღნიშნავს, რომ მოპოვებული მონაცემები, რომლებიც არ უკავშირდება პირის კრიმინალურ ქმედებებს, მაგრამ შეიცავს მის მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას, არ უნდა იქნას შენახული და დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. ეს მნიშვნელოვანი დაცვის მექანიზმია, მაგრამ მისი გამოყენება შეზღუდულია, რადგან იგი კომპეტენტურ ორგანოს არ ავალდებულებს, წაშალოს მოსმენით მოპოვებული სხვა პირადი ინფორმაცია, რომელიც არ უკავშირდება კრიმინალურ ქმედებას და არ წარმოადგენს მაკომპრომეტირებად მასალას. *კანონი საერთოდ დუმს ზოგადად, მოპოვებული მონაცემების განადგურებაზე. მაგალითად, მაშინ როდესაც საქმის წარმოება დასრულებულია ან გარკვეული პერიოდი გასულია.*
- **უსაფრთხოების ზომები ადვოკატსა და კლიენტს შორის პრივილეგირებული კომუნიკაციის დაცვისათვის:** საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გარანტიას ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის კომუნიკაციაზე, მაგრამ არ ითვალისწინებს პროცედურას, რომელიც ამ გარანტიის შესრულების საფუძველი შეიძლება იყოს. შესაბამისად, იგი არ შეესაბამება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტებს. *საჭიროა არსებობდეს ნათლად განსაზღვრული წესები, რომლითაც დადგინდება, თუ რა კონკრეტული ღონისძიებებია საჭირო ამ გარანტიის პრაქტიკაში გამოყენებისათვის, რათა იგი მხოლოდ თეორიულ გარანტიად არ დარჩეს.*
- **ზედამხედველობის მექანიზმი:** კომპეტენტური ორგანოების მიერ ჩატარებული ფარული მიყურადების კონტროლსა და ზედამხედველობას პირადი პასუხისმგებლობით ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი; ქმედებათა კანონიერებას აკონტროლებს იუსტიციის მინისტრი და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი პროკურორები. რაც შეეხება სასამართლო კონტროლს, მოსამართლე გასცემს ფარული მიყურადების ნებართვას. თუმცა, კანონი არ შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ოპერატიულ - სამძებრო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, იუსტიციის მინისტრის, ან პროკურორის მიერ კონტროლის განხორციელების მეთოდების შესახებ. ასევე, ვინაიდან საბოლოო კონტროლი უწყების უმაღლესი მმართველობის რგოლის მიერ ხორციელდება, წარმოიქმნება ეჭვები მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. *ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზედამხედველობის განხორციელება უნდა დაევალოს დამოუკიდებელ უწყებას.*

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილისა და პირადი საქმიანობის, პირადი ჩანაწერების, მიმოწერის, ტელეფონით და სხვა ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის ხელშეუხებლობას². ეს ფუნდამენტური უფლებები აბსოლუტური არაა და იგი შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს ამ თავისუფლებების შეზღუდვის აუცილებლობა. კონსტიტუციით ზემოთხსენებული ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლო გადაწყვეტილებით, ან მის გარეშე, კანონით განსაზღვრული გადაუდებელი აუცილებლობისას.

საქართველოში ფარული მიყურადების საფუძვლები რეგულირებულია კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ, სხვა ღონისძიებებთან ერთად განახორციელონ სატელეფონო მოსმენა³.

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ფოსტით, ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციისთვის თვალყურის დევნება, მათ შორის საქმიანი გარიგებების კონტექსტში, გათვალისწინებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლით. თეორიულად, ნებისმიერი მოსმენა შეიძლება ჩაითვალოს კომუნიკაციის საიდუმლოების უფლების შელახვად. ამიტომ, ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს „კანონის შესაბამისი“. ეს ნიშნავს, რომ პირველ რიგში, ღონისძიებას უნდა გააჩნდეს გარკვეული საფუძველი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში. მეორე რიგში, იგი თავსებადი უნდა იყოს „კანონის უზენაესობის“ პრინციპებთან და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი პირისთვის. შესამცვ, შესაბამის პირს უნდა შეეძლოს, წინასწარ განჭვრიტოს, თუ რა შედეგი ექნება მასზე ქვეყნის შიდა კანონს. (*როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ*, პარ. 52; *ლიბერთი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, პარ. 59; და *იორდაში და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ* პარ. 37).

ადამიანის უფლებათა ეროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით საქმეში „კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ თავი მოუყარა „წინასწარ განჭვრეტადობის“ ცნებას ფარული მიყურადების სფეროში:

„93... საიდუმლო მიყურადების წინასწარ განჭვრეტადობა ისეთ ღონისძიებათა კონტექსტში, როგორცაა ფარული მიყურადება, არ შეიძლება ნიშნავდეს, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს წინასწარ განჭვრიტოს ის, თუ როდის შეიძლება ხელისუფლებამ თვალყური ადევნოს მის კომუნიკაციებს, რათა შემდეგ შესაბამისად მოიქცეს (იხ. მათ შორის, ლევანდერი შვედეთის წინააღმდეგ, 1987 წლის 26 აგვისტოს განაჩენი, სერია ა, ნომერი 116, გვ. 23, პარ 51). მაგრამ, როდესაც ფარული მიყურადების განმახორციელებელი პირის საქმიანობა საიდუმლოდ ხორციელდება, თვითნებური ქმედების რისკი აშკარაა (იხ. მათ შორის, მალოუნი, გვ. 32, პარ. 67, ჰუვიგი, გვ. 54-55, პარ. 29 და როტარუ). **ამიტომ, აუცილებელია არსებობდეს ნათელი და დეტალური წესები ფარული მიყურადების შესახებ. მითუმეტეს, რომ ამ მიზნისათვის გამოსაყენებელი ტექნოლოგია მუდმივად ვითარდება.** (იხ. კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ, 1998 წლის 25 მარტის განაჩენი, ანგარიშები 1998-2. გვ. 542-43, პარ. 46). ქვეყნის შიდა კანონი **საკმარისად ნათელი უნდა იყოს** და მოქალაქეებს ადევნატურად აუხსნას ის გარემოებები და პირობები, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლებას უფლება აქვს, ეს ღონისძიებების განახორციელოს (იხ. მალოუნი, იქვე; კოპი გვ. 541, პარ. 64, ჰუვიგი. გვ 54-55, პარ. 29 და ვალენსუელა კონტრერასი, იქვე.).

94. უფრო მეტიც, ვინაიდან ფარული მიყურადების პრაქტიკაში გამოყენების მეთვალყურეობას არც საზოგადოება და არც ფარული მიყურადების ობიექტი ახორციელებს, მიყურადების განმახორციელებელი სუბიექტისთვის ან მოსამართლისათვის ფართო დისკრეციის მინიჭება, რომელიც შეუზღუდავ ძალაუფლებაში გამოიხატება, კანონის უზენაესობის პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოვა. კანონში განსაზღვრული უნდა იყოს კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ჩარჩოები და მისი განხორციელების მეთოდები, თანაც იმდენად ნათლად, რომ ადამიანი საკმარისად იყოს დაცული თვითნებური ჩარევისაგან (იხ. სხვა უწყებებს შორის, მალოუნი, გვ. 32-33. პარ. 68, ლევანდერი, ზემოთ ციტირებული, გვ. 23, პარ. 51 და ჰუვიგი. გვ. 54-55, პარ. 29)“.

² საქართველოს კონსტიტუცია, მე-20 მუხლი.

³ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი, რომელიც ფარულ მიყურადებას არეგულირებს, ნათლად უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა გარემოებებში და პირობებში შეიძლება ფარული მოსმენის განხორციელება. ამასთან, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა კრიტერიუმები, რომლებიც ქვეყნის შიდა ნორმატიულმა აქტმა უნდა დააკმაყოფილოს, რათა საკმარისად ზუსტი იყოს და შეიცავდეს თვითნებური გამოყენების წინააღმდეგ დაცვის მექანიზმს:

„95. სასამართლომ, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, საიდუმლო თვალთვალის ღონისძიებების შესახებ პრეცედენტულ სამართალში შეიმუშავა შემდეგი მინიმალური დაცვის მექანიზმები, რომლებიც კანონში უნდა იყოს ჩამოყალიბებული; ეს მექანიზმებია: **სამართალდარღვევის ხასიათი, რომელიც შეიძლება გახდეს მოსმენის შესახებ გაცემული გადაწყვეტილების საფუძველი; იმ კატეგორიის ადამიანების განსაზღვრა, რომელთა ტელეფონებიც შესაძლოა ისმინებოდეს; ტელეფონის მოსმენის ხანგრძლივობის ლიმიტი; მიღებული მონაცემების შემოწმების, გამოყენების და შენახვის პროცედურები; სიფრთხილის ზომები, როცა ხდება მონაცემთა სხვა მხარეთათვის გადაცემა; ის გარემოებები, რომლებშიც ჩანაწერები შეიძლება ან უნდა წაიშალოს ან განადგურდეს** (იხ. მათ შორის, ჰუვიგი, გვ. 56, პარ. 34, ამანი, ზემოთ ციტირებული, პარ. 76. ვალენსუელა კონტრერასი, ზემოთ ციტირებული. გვ. 1924-25, პარ. 46, და პრადო ბუგალო ესპანეთის წინააღმდეგ, ნომერი [58496/00](#) პარ. 30, 2003 წლის 18 თებერვალი).“

ამასთან, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ ფარული მიყურადების სამართლებრივ საფუძველები უნდა განსაზღვრავდნენ წესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს შორის საუბრის დაცულობას ფარული მიყურადებისგან. (იორდაკი და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ, კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ).

დანაშაულის კატეგორიები

ა. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტები

კანონში, რომელიც არეგულირებს ფარული მიყურადების იურიდიულ საფუძველს, დაკონკრეტებული უნდა იყოს დანაშაულის ის კატეგორიები, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ სატელეფონო მოსმენა. ეს შეიძლება სულ მცირე ორი ფორმით განხორციელდეს:

- დანაშაულის განისაზღვრა კონკრეტული კრიტერიუმებით;
- იმ დანაშაულთა კანონში ჩამოთვლა, რომლებიც შეიძლება გახდეს ფარული მიყურადების გამოყენების საფუძველი;

საქმეში „კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლომ ყურადღებით შეისწავლა ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ სატელეფონო საუბრების მონიტორინგი. ბრიტანეთის საკანონმდებლო ბაზა ითვალისწინებს, რომ სატელეფონო მოსმენები სხვა ღონისძიებებთან ერთად შეიძლება ნებადართულ იქნას „სერიოზული დანაშაულის პრევენციის ან მიკვლევის მიზნით“. სერიოზულ დანაშაულად განისაზღვრება დანაშაული, რომლისთვისაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ პირი, რომელმაც 21 წლის ასაკს მიაღწია და რომელსაც არ აქვს წარსულში ჩადენილი დანაშაული, მოიხდის სამ- ან მეტ წლიან სასჯელს. სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტი, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს დებულება არასაკმარისად ზუსტი იყო. მან განმარტა, რომ წინასწარ განჭვრეტადობა არ მოითხოვს იმ დანაშაულთა ამომწურავ სიას, რომლებიც დაასაბუთებენ სატელეფონო მოსმენის შესახებ გადაწყვეტილებას და დაადგინა, რომ კანონში ტერმინი „სერიოზული“ მოქალაქეებს საკმარისად განუმარტავს ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომელიც შეიძლება ფარულ მიყურადებას საფუძვლად დაედოს (პარ. 160).

ფარული მიყურადების წინასწარ განჭვრეტადობა შეიძლება ასევე უზრუნველყვით იმით, რომ შევადგინოთ ყველა ის დანაშაულის სია, რომელთა გამოძიებაც მოითხოვს კომუნიკაციისთვის თვალყურის დევნებას.

თუმცა, დანაშაულთა დაკონკრეტება ნორმატიულ აქტში მათი ფორმის მიუხედავად, მხოლოდ კანონში საკმარისი დაცვის მექანიზმების შექმნის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი პოტენციური

ფარული მიყურადების რაოდენობას ეფექტურად შეზღუდავს. საქმეში „იორდაკი მოლდოვის წინააღმდეგ“ სასამართლოს საქმე ჰქონდა მოლდოვის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ 1994 წლის კანონთან. კანონში აღნიშნული იყო, რომ სატელეფონო მოსმენების გამოყენება შეიძლება მხოლოდ ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისათვის. მართალია, კანონში ნათლად იყო განმარტებული დანაშაულის ის კატეგორიები, რომელთა გამოძიებაც მოითხოვს ფარულ მიყურადებას, თუმცა სასამართლომ გააკრიტიკა ის, რომ „სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნული დანაშაულების ნახევარზე მეტი ეჭვვა იმგვარი კატეგორიის დანაშაულებში, რომლებზეც შესაძლებელია ფარული მიყურადების ნებართვის გაცემა“. (პარ. 44)

ბ. საქართველოს კანონმდებლობა

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ „ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას, დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით, ან იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით...“

ეს ნორმა საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ საქართველოში ფარული მიყურადების მოთხოვნა შესაძლებელია, როცა არსებობს:

- პროკურორის დადგენილება
ან
- დაზარალებულის წერილობითი განცხადება;
ან
- არსებობს მტკიცებულება, რომ დანაშაული სისხლის სამართლის კანონმდებლობით ორ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სისხლის სამართლის კოდექსი 375 სახის დანაშაულს იცნობს. მათგან 211 ითვალისწინებს ორ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას. 88 – ნაკლებს, ან სასჯელის სხვა ფორმას; 76 ითვალისწინებს ორ წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში იგი შეიძლება აღემატებოდეს ორ წელს.

ეს ნიშნავს, იმას რომ ფარული მიყურადება (გადაუდებელ და არაგადაუდებელ შემთხვევებში) პროკურორის დადგენილებით შეიძლება მოთხოვნილ იქნას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის გამოძიებისას, იმ დანაშაულთა უმეტესობის გამოძიებისას, როცა არსებობს არამართლზომიერი ქმედების მსხვერპლის წერილობითი განცხადება, ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ნებისმიერი დანაშაულის გამოძიებისას, რომელიც ორ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამგვარი დისკრეცია გულისხმობს, რომ დანაშაულთა ნებისმიერი ან დიდი უმრავლესობა შესაძლებელია დაეჭვებდებაროს ფარულ მიყურადებას, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებულ სტანდარტებს. ზემოთ ციტირებულ საქმეში „იორდაკი და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ“ სასამართლომ გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ ფარული მიყურადების შესახებ ქვეყნისშიდა კანონი შეიძლება გამოყენებულ იქნას „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნახევარზე მეტის გამოძიებისას“. ეს ასპექტი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრობლემურად მიიჩნია. თუ იმავე მოსაზრებით მივუდგებით საქართველოს კანონს, ვნახავთ, რომ დანაშაულთა კატეგორიების შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზა პრობლემურია.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინასწარ განჭვრეტადობის მოთხოვნა არ გულისხმობს, რომ ქვეყნებს მოეთხოვება ამომწურავად დაასახელონ უშუალოდ ის დანაშაულები, რომელთა გამოძიებამაც შესაძლოა ფარული მიყურადება მოითხოვოს. თუმცა, დანაშაულის ხასიათის შესახებ დეტალური ინფორმაცია უნდა იქნას წარმოდგენილი. (კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარ. 159)

როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ფარული მიყურადება ნებადართულია ზოგიერთ შემთხვევაში ნებისმიერი დანაშაულის ან დანაშაულთა დიდი უმრავლესობის გამოძიებისას. თუმცა სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, ფარული მიყურადება სისხლის სამართლის ისეთ საქმეთა გამოძიებისას გამოიყენება, რომლებიც სერიოზულ საქმეებადაა (მძიმე დანაშაულადაა) მიჩნეული და რომლებსაც სასჯელის გარკვეული დონე მიესადაგება. (მაგალითად, 5 წლით ან მეტი ხნით პატიმრობა). საქართველოს კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ხასიათთან დაკავშირებული სტანდარტები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფარული მიყურადების გამოყენება და ამის მიხედვით ჩამოაყალიბოს შესაბამისი დებულებები.

გ. საუკეთესო პრაქტიკა

გერმანია (კანონში ჩამოთვლილია დანაშაულთა კატეგორიები)

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სექცია 100ა აყალიბებს გარკვეულ პირობებს ტელეკომუნიკაციებისთვის თვალყურის დევნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ის ამბობს, რომ „(1) ტელეკომუნიკაციების მოსმენა და ჩანერა შესაძლოა განხორციელდეს მიყურადების სუბიექტის ინფორმირებულობის გარეშე თუ:

2. დანაშაული განსაკუთრებით მძიმე ხასიათისაა კონკრეტულ შემთხვევაში...

(2) სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულები ქვესექცია (1)–ის მიზნებისათვის, ნომერი 1, არის:

1. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად:

ა) დანაშაულები მშვიდობის წინააღმდეგ, უმაღლესი დონის ლალატი, კანონის უგნესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოს საფრთხეში ჩაგდება, ლალატი და საგარეო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნა 80–82, 84–86, 87–89 და 94–100ა სექციების თანახმად;

ბ) პარლამენტის წევრისათვის ქრთამის მიცემა 108ე სექციის თანახმად;

გ) ეროვნული თავდაცვის საწინააღმდეგო დანაშაულები 109დ–109თ სექციების თანახმად;

დ) სახელმწიფო წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული 129–130 სექციების თანახმად;

ე) ფულისა და ოფიციალური მარკების გაყალბება 146–151 სექციების თანახმად, თითოეულ შემთხვევაში 152 სექციასთან ერთად, ასევე 152ა ქვესექცია (3) და სექცია 152ბ ქვესექცია (1)–(4).

ვ) სექსუალური იდენტობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული 176ა, 176ბ, 177 ქვესექცია (2), ნომერი 2, და სექცია 170 ქვესექცია (5) ნომერი 2 გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ზ) ისეთი პორნოგრაფიული ჩანაწერების გავრცელება, შესყიდვა და ფლობა, რომლებშიც მონაწილეობენ ბავშვები და მოაზარდები, 184ბ სექციის ქვესექცია (1)–(3), სექცია 184ც ქვესექცია (3) თანახმად;

თ) განზრახ და გაუფრთხილებლობით მკვლელობა 211–212 სექციების თანახმად;

ი) პირადი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები 232–233ა, 234, 234ა და 239ბ სექციების თანახმად.

კ) ჭკუფური ქურდობა 244 ქვესექცია (1), ნომერი 2 თანახმად და მძიმე სახის ჭკუფური ქურდობა 244 ა სექციის თანახმად;

ლ) ძარცვის ან გამოძალვის დანაშაულები 249–255 სექციების თანახმად;

მ) მოპარული ნივთის გაყიდვა, მოპარული ნივთის ჭკუფური გაყიდვა 260–260ა სექციების თანახმად;

ნ) ფულის გათეთრება ან არაკანონიერი გზით მიღებული ქონების გადამალვა 261 სექციის ქვესექცია (1) (2) და (4) თანახმად;

ნ) კიბერდანაშაული 263 სექციის მე-3 ქვესექციის მეორე წინადადების თანახმად და 263 სექციის ქვესექცია (5) , 263ა ქვესექციასთან (2) ერთად.

ო) ფინანსური დანაშაული გათვალისწინებული სექცია 264, ქვესექცია (2) მეორე წინადადება; სექცია 264 ქვესექცია (3) შემთხვევაში, თითოეული 263 სექციის ქვესექცია (2) ერთად.

პ) სექცია 267 ქვესექცია (3) მეორე წინადადებაში აღნიშნულ პირობებში ჩადენილი დოკუმენტების ფალსიფიკაცია, სექცია 267 ქვესექცია (4) შემთხვევაში, თითოეულ შემთხვევაში, ასევე სექცია 268 ქვესექცია (5) ერთად ან სექცია 269 ქვესექცია (3) ერთად ასევე სექცია 275 ქვესექცია (2) და სექცია 276 ქვესექცია (2) თანახმად.

ჟ) გაკოტრება სექცია 283ა მეორე წინადადების პირობების თანახმად.

რ) კონკურენციის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები სექცია 298-ის თანახმად და სექცია 300–ის მეორე წინადადებაში მოცემული პირობებით, სექცია 299 თანახმად.

ს) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები - სექცია 306–306ც თანახმად; სექცია 307 ქვესექცია (1)–(3), სექცია 308 ქვესექცია (1)– (4) თანახმად, სექცია 309

ქვესექცია (1)– (3) თანახმად, სექცია 310 ქვესექცია (1) თანახმად, სექციების 313, 314, 315 ქვესექცია (3), სექცია 315ბ ქვესექცია (3), ასევე სექცია 361 და 361გ სექციების თანახმად.
ტ) ქრთამის აღება და შეთავაზება სექცია 332 და 334 თანახმად.

2. საგადასახადო კოდექსის თანახმად:

- ა) გადასახადებისათვის თავის არიდება სექცია 370 ქვესექცია (3) მეორე წინადადება ნომერი 5 თანახმად;
- ბ) კომერციული, ძალადობრივი და ჯგუფური კონტრაბანდა სექცია 370 ქვესექცია (3) მეორე წინადადება ნომერი 5 მიხედვით;
- გ) გადასახადებისგან თავის არიდებით ასრებული ქონებით ვაჭრობა სექცია 374 ქვესექცია (2) თანახმად;

3. ფარმაცევტული პროდუქტების შესახებ კანონის თანახმად:

სისხლის სამართლის დანაშაული სექცია 95 ქვესექცია (1) ნომერი 2ა თანახმად, სექცია 95 ქვესექცია (3) მეორე წინადადება ნომერი 2 წერილი ბ პირობებით;

4. თავშესაფრის პროცედურების შესახებ კანონის თანახმად:

- ა) თავშესაფრის მოთხოვნა არაკეთლსინდისიერად, სექცია 84 ქვესექცია (3) თანახმად.
- ბ) თავშესაფრის არაკეთლსინდისიერად მოთხოვნის კომერციული და ჯგუფური განზრახვა, სექცია 84ა თანახმად;

5. საცხოვრებლის შესახებ კანონის თანახმად:

- ა) უცხოელთა მიერ ჩადენილი კონტრაბანდა სექცია 96 ქვესექცია (2) თანახმად;
- ბ) კონტრაბანდა, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი, და კომერციული და ჯგუფური კონტრაბანდა სექცია 97–ის თანახმად;

6. საგარეო ვაჭრობის და გადახდების შესახებ კანონების თანახმად:

სისხლის სამართლის დანაშაულები სექცია 34 ქვესექცია (1)–(6) თანახმად;

7. ნარკოტიკების შესახებ კანონის თანახმად:

- ა) სექცია 29 ქვესექცია (3) მეორე წინადადება ნომერი 1 ერთ–ერთ დებულებაში ჩამოყალიბებული პირობებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის დანაშაულები;
- ბ) სისხლის სამართლის დანაშაულები სექცია 29ა, სექცია 30 ქვესექცია (1), ნომრები 1, 2 და 4, ასევე სექციები 30ა და 30ბ თანახმად.

8. წინამორბედთა კონტროლის შესახებ კანონის თანახმად:

სისხლის სამართლის დანაშაულები სექცია 19 ქვესექცია (1) თანახმად, სექცია 19 ქვესექცია (3) მეორე წინადადების პირობებში;

9. საბრძოლო იარაღის კონტროლის შესახებ კანონის თანახმად:

- ა) სისხლის სამართლის დანაშაულები სექცია 19 ქვესექცია (1)–(3) და სექცია 20 ქვესექცია (1) და (2) თანახმად, ასევე სექცია 20ა ქვესექციების (1)–(3) თანახმად, თითოეული ასევე სექცია 21–თან ერთად;
- ბ) სისხლის სამართლის დანაშაულები სექცია 22ა ქვესექცია (1)–(3) თანახმად;

10. საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა კოდექსის თანახმად:

- ა) გენოციდი სექცია 6-ის თანახმად;
- ბ) კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული სექცია 7-ის თანახმად;
- გ) საომარი დანაშაულები სექციების 8 და 12 თანახმად;

11. იარაღის შესახებ კანონის თანახმად:

- ა) სისხლის სამართლის დანაშაულები სექცია 51 ქვესექცია (1)–(3) თანახმად.
- ბ) სისხლის სამართლის დანაშაულები სექცია 52 ქვესექცია (1) ნომერი 1 და ნომერი 2 წერილები გ და დ ასევე სექცია 52 ქვესექცია (5) და (6) თანახმად.

მოლდოვის რესპუბლიკა (კანონი შეიცვალა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, „იორდაკი მოლდოვის წინააღმდეგ“ დადგენილების შემდეგ. კანონში ჩამოთვლილია ის დანაშაულები, რომლებიც ექვემდებარება მოსმენას).

სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსის 132⁸ (2) მუხლი - პარაგრაფების დებულებები. (1) ეხება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას, რომელშიც სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება არ არსებობს. მუხ. 135-137, მუხ. 138 პარ. (2) და (3), მუხ. 139, მუხ. მუხლი 140. (3) და (4), მუხ. 1401 პარ. (3) და (4), მუხ. 141 პარ. (2), მუხ. 142 პარ. (2) და (3), მუხ. 143-145, მუხ. 151 პარ. (2) და (4), მუხ. 164 პარ. (2) და (3), მუხ. 165, მუხ. 166 პარ. (2) და (3), მუხ. 171 პარ. (2) და (3), მუხ. 186 პარ. (2) ლიტ. გ, პარ. (3) - (5),

მუხ. 187 პარ. (2) ლიტ. ფ), პარ. (3) - (5), მუხ. 188 პარ. (2) ლიტ. ფ), პარ. (3) - (5), მუხ. 189 პარ. (3). ა), დ) და ფ), პარ. (4) - (6), მუხ. 190 პარ. (3) - (5), მუხ. 191 პარ. (5), მუხ. 206, მუხ. 216 პარ. (3), მუხ. 2171 პარ. (4), მუხ. 2174 პარ. (3), მუხ. 236 პარ. (2), მუხ. 243 პარ. (3), მუხ. 248 პარ. (5), მუხ. 278 პარ. (2) - (6), მუხ. 2781, მუხ. 279, მუხ. 2791 პარ. (3) და (4), მუხ. 280 პარ. (3), მუხ. 283, მუხ. 284, მუხ. 292 პარ. (2), მუხ. 295 პარ. (6), მუხ. 2951 პარ. (3), მუხ. 324, მუხ. 325, მუხ. 326 პარ. (3), მუხ. 328 პარ. (3), მუხ. 333, მუხ. 334, მუხ. 337-340. დანაშაულთა ჩამონათვალი ამომწურავია და მასში ცვლილების შეტანა მხოლოდ კანონითა არის შესაძლებელი.

გაერთიანებული სამეფო (დანაშაულის ხასიათის შესახებ კანონმდებლობა საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას შეიცავს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, ეს დებულება აკმაყოფილებს წინასწარ განჭვრეტადობის მოთხოვნას. კანონი შეიცვალა „კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ საქმის შესწავლის შემდეგ)

საგამოძიებო უფლებამოსილებების შესახებ კანონის სექცია 5 (3) მიხედვით, „ამ სექციის დებულებების თანახმად, ფარული მიყურადების შესახებ ნებართვის მისაღებად აუცილებელია არსებობდეს ამ ქვესექციით გათვალისწინებული შემდეგი საფუძვლები:

- ა. ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები;
- ბ. სერიოზული (მძიმე) დანაშაულის პრევენციის ან მიკვლევის მიზანი;
- გ. გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვა; ან
- დ. იმ მიზნით და გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, რომლებიც პრემიერ მინისტრის აზრით იქნებოდა იმ გარემოებათა ექვივალენტი, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც იგი გამოსცემდა დადგენილებას პარ. ბ თანახმად, ურთიერთანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების პირობების შესრულებისთვის“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საგამოძიებო უფლებამოსილებების შესახებ კანონის ან სხვა კანონების ყველა ეს პირობა საკმაოდ ნათლად ჩათვალა, რადგან ისინი მოქალაქეებს ადეკვატურ მითითებას აძლევს იმ გარემოებათა და პირობათა შესახებ, რომლებშიც ქვეყნის ხელისუფლებას აქვს უფლებამოსილება, მიმართოს ფარული მიყურადების ზომებს.

(*კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, პარ. 159)

პირთა კატეგორიები

ა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

კანონში უნდა განისაზღვროს *იმ პირთა კატეგორია, რომელთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფარული მიყურადება*. საქმეში „იორდაკი მოლდოვის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითება „ექვმიტანილები, ბრალდებულები ან დანაშაულში მონაწილე სხვა პირები“, არ იყო საკმარისად ნათელი, ანუ არ აკონკრეტებდა, პირთა რა კატეგორია შეიძლება დაექვემდებაროს ფარულ მიყურადებას. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა განმარტება ტერმინისა „სისხლის სამართლის დანაშაულში მონაწილე სხვა პირები“ (ძალიან ფართო ცნებაა) (პარ. 44).

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონი “გერმანული დიდი ათეული”, რომელიც გერმანიის სადაზვერვო სამსახურების მიერ სატელეფონო მიყურადებას არეგულირებს, შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს. (კლასიკური გერმანიის წინააღმდეგ, პარ. 51 წაიკითხეთ პარ 17-თან ერთად). ამ კანონის თანახმად, პირები, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ ფარულ მიყურადებას, არიან: „ექვმიტანილი, ან სხვა პირი, რომელთა შესახებაც ფაქტების საფუძველზე ნათლად ირკვევა, რომ მიიღეს ან გადასცეს ექვმიტანილისათვის განკუთვნილი ან მისგან მომდინარე კომუნიკაცია ან ის პირები, რომელთა ტელეფონიც, სავარაუდოდ, ექვმიტანილმა გამოიყენა.“

ბ. საქართველოს კანონი

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები, რომელშიც შესაძლებელია ივარაუდებოდნენ ფარულ მიყურადებას დაქვემდებარებულ პირები:

- დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;
- იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;
- იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომელიც ემალება გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა მოხდას;
- დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;
- უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა;
- სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.
- დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობის დადგენა).

ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება ზემოთხსენებული შემთხვევების გარდა, სხვა მიზნებისთვის აკრძალულია.

ამავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს გონივრული ეჭვის სტანდარტს, ანუ ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც საქმის გარემოებების გათვალისწინებით საკმარისი იქნებოდა ობიექტური ადამიანისთვის, რათა დაესკვნა, რომ პირი შესაძლოა იყოს დანაშაულის ჩამდენი. ეს დებულება, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონთან ერთად, საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ პირები, რომლებიც გონივრული ეჭვის შემთხვევების მოთხოვნას აკმაყოფილებენ, შეიძლება იმ პირთა კატეგორიაში მოხვდნენ, რომლებიც ფარულ მიყურადებას ექვემდებარებიან. თუმცა, როცა საქმე ეხება გარეშე პირებს, ანუ იმ პირებს, რომელთა წინააღმდეგაც არ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მათ ჩადინეს დანაშაული, მაგრამ ისინი შეიძლება როგორღაც დაკავშირებულნი იყვნენ საქმესთან, კანონი არაფერს ამბობს. ამიტომ, არსებობს რისკი, რომ ფარული მიყურადება შესაძლებელია განხორციელდეს განუსაზღვრელი მოცულობით. კანონით უნდა შეიზღუდოს და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული იმ პირთა კატეგორიები, რომელთა კომუნიკაციაც ექვემდებარება ფარულ მიყურადებას.

გ. საუკეთესო პრაქტიკა

გერმანია (კანონმდებლობაში კონკრეტულადაა აღნიშნული, თუ რა კატეგორიის ადამიანები შეიძლება დაექვემდებარონ ფარულ მიყურადებას). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სექცია 100ა ამბობს, რომ „(1) ტელეკომუნიკაციების მოსმენა და ჩანერა შეიძლება ისე, რომ პირმა ამის შესახებ არაფერი იცოდეს, თუ ...

1. გარკვეული ფაქტები იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ პირს, როგორც დამნაშავეს, ან როგორც ხელისშემწყობს ან როგორც დამხმარეს, ჩადენილი აქვს სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ნახსენებია ქვესექცია (2), ან თუ არსებობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მცდელობისათვის, როცა პირის მხრიდან ადგილი აქვს დანაშაულის ჩადენის მცდელობას ან როდესაც დანაშაულის მომზადებით პირმა ჩადინა დანაშაული.“

მოლდოვის რესპუბლიკა (კანონი შეიცვალა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, საქმის „იორდაკი მოლდოვის წინააღმდეგ“ დადგენილების შემდეგ. კანონში კონკრეტულადაა ჩამოთვლილი იმ პირთა კატეგორიები, რომლებიც შეიძლება ფარულ მიყურადებას დაექვემდებარონ.)

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 132⁸ (3) განსაზღვრავს: „ფარულ მიყურადებას შეიძლება დაექვემდებაროს, *ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან ხელშემწყობი პირები* იმ დანაშაულისა, რომელიც აღნიშნულია პარაგრაფ (2)-ში და რომლისთვისაც არსებობს მონაცემები, რომლებიც

გონივრულად მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ ეს პირები იღებენ და გადასცემენ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.“

შედეგად

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სექცია 66 (1)-ში აღნიშნულია: „საქმის განმხილველმა მოსამართლემ შეუძლია გასცეს ბრძანება ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის საფოსტო კორესპონდენციის, სატელეფონო და სატელეგრაფო კომუნიკაციისთვის თვალყურის დევნებაზე ... თუ (ბ) კონკრეტული ფაქტები გვაძლევს საშუალებას, მეთვალყურეობას დაქვემდებარებულ პირზე ვიქონიოთ ეჭვი, რომ ის არის დანაშაულის ჩამდენი ან დამხმარე“ ... იქვე, პარაგრაფი (1) აღნიშნავს, რომ „როცა ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის მეთვალყურეობის გამამართლებელი პირობები დაკმაყოფილებულია, მესამე მხარეც შეიძლება დაექვემდებაროს მონიტორინგს, თუ კონკრეტული ფაქტები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ისინი ბრალდებულის ან განსასჯელისთვის განკუთვნილ ან მის მიერ გაგზავნილ ინფორმაციას იღებენ ან ავრცელებენ... მესამე მხარეების სატელეფონო კავშირების მეთვალყურეობა შეიძლება ნებისმიერ დროს, თუ არსებობს მიზეზი, გვეჩვენოს ეჭვი, რომ მას ბრალდებული იყენებს.“

მოსმენის მოთხოვნა გონივრული ეჭვის არსებობის საფუძველზე

ა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მოითხოვს იმ პირთა კატეგორიის ნათლად განსაზღვრას, რომლებიც შეიძლება ფარულ მიყურადებას დაექვემდებარონ. იმის გათვალისწინებით, რომ ტელეფონის მოსმენა ძალიან უხეში ჩარევაა ადამიანის უფლებებში, მოსმენაზე ნებართვის გაცემის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ გონივრულ ეჭვზე დაფუძნებული მყარი ვარდაუდი, რომ ადამიანი სერიოზულ (ძძიმე) დანაშაულებრივ საქმიანობაში იყო ჩაბმული. კანონმდებლობამ უკეთ უნდა დაამუშაოს ეჭვის გონივრულობის ხარისხის საკითხი. საქმეში „იორდაკი და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ“ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაბამისმა შიდა კანონმდებლობამ მოსმენაზე ნებართვის გაცემის მიზნით არ დააკონკრეტა პირის მიმართ არსებული ეჭვის გონივრულობის ხარისხი და მასში არ იყო მოცემული დამატებითი დაცვის მექანიზმები, მაგალითად, ის რომ მოსმენას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როცა გამოძიების მიზნების მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.

ბ. საქართველოს კანონმდებლობა

კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კონკრეტულად არ ასახელებს ეჭვის გონივრულობის ხარისხს იმ პირისადმი, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს მოსმენას. როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3მ უხელი მე-11 პუნქტი ითვალისწინებს გონივრული ეჭვის შემონახვას საგამოძიებო საქმიანობისას (მოსმენის ჩათვლით). ხსენებული პარაგრაფი, ეჭვის გონივრულობის შემონახვის ცნების განმარტებისას, არ გულისხმობს მის გამოყენებას საგამოძიებო საქმიანობაში, მოსმენის ჩათვლით. უკეთესი იქნება, თუ კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ დააკონკრეტებს, რომ შემონახვა ისევე ეხება მოსმენის, როგორც სხვა საგამოძიებო ღონისძიებებს, როგორცაა ჩხრევის ორდერი⁴.

გ. საუკეთესო პრაქტიკა

გერმანია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სექცია 100ა (1) აღნიშნავს, რომ „ტელეკომუნიკაციების მოსმენა და ჩანერა შესაძლებელია ისეც, რომ შესაბამისმა პირებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, თუ 1. გარკვეული ფაქტები იძლევა იმ ეჭვის საფუძველს, რომ პირს, დანაშაულებს, ხელისშემწყობს ან დამხმარეს, ჩადენილი აქვს სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც აღნიშნულია ქვესექცია (2)-ში, ან თუ არსებობს სისხლის სამართლის

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლი

პასუხისმგებლობა მცდელობისათვის, როცა პირის მხრიდან ადგილი აქვს დანაშაულის ჩადენის მცდელობას ან როდესაც დანაშაულის მომზადებით პირმა ჩაიდინა დანაშაული.“

ფარული მიყურადების ხანგრძლივობა

ა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

ფარული მიყურადების თვითნებური ან გადაჭარბებული გამოყენების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია განისაზღვროს ამ ღონისძიების ხანგრძლივობა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ აქვს განსაზღვრული ფარული მიყურადების რაიმე ზოგადი მაქსიმალური ხანგრძლივობა. საქმეში „ევროპული ინტეგრაციის ასოციაცია და ეხმიძვე ბულგარეთის წინააღმდეგ“, სასამართლომ მაქსიმალურ ხანგრძლივობად ორი თვე განსაზღვრა, ექვს თვემდე გაგრძელების შესაძლებლობით, იმ პირობით, რომ ახალი განცხადება და ფარული მიყურადების მოთხოვნა იქნებოდა კონვენციის შესაბამისი. საქმეში „ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ“ სასამართლომ მოსმენა სამ თვემდე ვადით დანიშნა, კიდევ სამი თვით გაგრძელების შესაძლებლობით, კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად. (პარაგრაფი 98). საქმეში „კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ ბრიტანეთის კანონი საგამოძიებო უფლებამოსილებათა შესახებ, რომელიც მოსმენას ექვსთვიანი პერიოდით ითვალისწინებს, გაგრძელების პერსპექტივით, აკმაყოფილებდა საჭირო დაცვითი მექანიზმების არსებობის მოთხოვნას. მეორე მხრივ, სასამართლომ საქმეში „იორდაკი მოლდოვის წინააღმდეგ“ გააკრიტიკა მოლდოვის კანონი, რადგან კანონის შესაბამისი დებულებები ზღუდავდა სატელეფონო მოსმენის ექვსთვიან ხანგრძლივობას, თუმცა გაგრძელების შესაძლებლობას იძლეოდა. (პარ. 45)

ბ. საქართველოს კანონმდებლობა

ფარული მიყურადების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით კანონში განსაზღვრული უნდა იყოს პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგაც მოსმენის ნებართვას ვადა ამოიწურება. ამასთან, უნდა დაკონკრეტდეს, თუ რა პირობებში და გარემოებათა არსებობისას შეიძლება ნებართვის გაგრძელება.

კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არაფერს ამბობს პერიოდზე, რომლის შემდეგაც მოსმენის ვადა ამოიწურება. ეს გამოსწორდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 იანვრის რეკომენდაციით, რომლის თანახმადაც, კომპეტენტური სასამართლო სატელეფონო მოსმენის ხანგრძლივობას განსაზღვრავს 1 თვის ვადით⁵. აღნიშნული ვადა გონივრულია მტკიცებულებათა შესაგროვებლად.

რეკომენდაციის შინაარსი შეესაბამება ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტანდარტებს, თუმცა დოკუმენტი რეკომენდაციის ფორმითაა, რასაც სავალდებულო ძალა არ აქვს. სტრასბურგის სასამართლოს მიხედვით, აუცილებელია კანონში არსებობდეს მინიმალური თავდაცვის მექანიზმები. აუცილებელია, რეკომენდაციის შინაარსი აისახოს შესაბამის კანონმდებლობაში. ფარული მიყურადების ზომები ძალაში უნდა დარჩეს მაქსიმალურად მოკლე ვადით და მაშინვე უნდა შეწყდეს, როცა მეთვალყურეობის შესახებ ბრძანებაში აღნიშნული პირობები აღარ სრულდება ან როცა თვითონ ღონისძიება არ არის აუცილებელი.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ხანგრძლივობა შეიძლება პირველად გაიზარდოს 6 თვემდე, შემდეგ - 9 და მაქსიმუმ - 12 თვემდე, თუმცა, ეს მუხლი არ მოიცავს ფარულ მიყურადებას. იმავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების განსაზღვრული ღონისძიებები ანუ ფარული მიყურადება დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით⁶. თუმცა, კანონი არაფერს ამბობს ფარული მიყურადების გაგრძელების კონკრეტულ პერიოდზე. უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციაში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, აღნიშნულია, რომ ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ამის აუცილებლობა დადასტურდება მტკიცებულებით.

⁵ <http://www.supremecourt.ge/news/id/301>

⁶ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

რეკომენდაცია ვადის გახანგრძლივების კონკრეტულ პერიოდს არ განსაზღვრავს. მნიშვნელოვანია, რომ კანონში ხაზგასმით იყოს აღნიშნული ფარული მიყურადების ღონისძიების ხანგრძლივობის ლიმიტი, რითაც თავიდან ავიცილებთ სატელეფონო საუბრების თვითნებურ და გადაჭარბებულ მიყურადებას და ჩაწერას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციას სავალდებულო ხასიათი არ აქვს, კანონში უნდა ჩაიწეროს, რომ ფარული მიყურადების გაგრძელება განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იყოს დასაშვები.

გ. საუკეთესო პრაქტიკა

გერმანია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100ბ მუხლი არეგულირებს ტელეკომუნიკაციების მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ ბრძანებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ბრძანების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ბრძანება ძალაშია მაქსიმუმ *სამი თვის* ვადით. მისი ვადის გაგრძელება თითო ჯერზე არაუმეტეს სამი თვისა დასაშვებია თუ ბრძანებაში აღწერილი პირობები კვლავაც ძალაშია, გამოძიებისას მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით.“

მოლდოვის რესპუბლიკა (კანონი შეიცვალა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, „იორდაკი მოლდოვის წინააღმდეგ“ დადგენილების შემდეგ). მუხლი 20 (7) „საგანგებო საგამოძიებო ღონისძიებები შეიძლება გატარდეს *30 დღიანი* პერიოდით და შეიძლება გაგრძელდეს ექვს თვემდე ვადით, დასაბუთების არსებობის შემთხვევაში. გადაუდებელი საგამოძიებო ღონისძიების თითოეული გაგრძელება არ უნდა აღარბედეს *30 დღეს*. თუ საგამოძიებო ღონისძიებების გატარების ნებართვა გაგრძელდა *6 თვემდე* ვადით, აკრძალულია განმეორებითი ნებართვის გაცემა საგანგებო საგამოძიებო ღონისძიების შესახებ იმავე საფუძველით და იმავე თემაზე, გარდა [...] ისეთი შემთხვევებისა, როცა არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოებები და გამოძიება იკვლევს ორგანიზებული დანაშაულის და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტებს.“

მოსმენა უნდა იყოს უკიდურესი ზომა

ა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

ზემოთ ჩამოთვლილ გარანტიებთან ერთად, ადამიანთა უფლებების ლოგიკური საფუძველი გვკარნახობს, რომ ფარული მიყურადება და ჩაწერა მხოლოდ ბოლო ინსტანციის ღონისძიება უნდა იყოს და გამოყენებულ იქნას, მხოლოდ მაშინ, როცა სხვა, კლასიკური საშუალებები ამოწურულია, ან როცა არის მცირე ალბათობა ან ნულოვანი ალბათობა დანაშაულის გახსნისა ფარული მიყურადების გამოყენების გარეშე.

ბ. საქართველოს კანონმდებლობა

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ასეთი დებულება არ არის. კანონის მე-20 მუხლში აღნიშნულია, რომ ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით. ეს მნიშვნელოვანი დაცვის მექანიზმია, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა მოსმენას ცალსახად არ ზღუდავს, ე.ი. თეორიულად მისი გამოყენება მაშინაც შეიძლება, როცა არსებობს სხვა, ნაკლებად მსუბუქი საგამოძიებო მოქმედების გამოუყენების საშუალება.

გ. საუკეთესო პრაქტიკა

გერმანია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სექცია 100ა (3) ფარული მიყურადების ნებას რთავს მხოლოდ მაშინ, როცა „ფაქტების დადგენის ან პირის კოორდინატების განსაზღვრის სხვა საშუალებები ბევრად უფრო რთულია ან წარმატების პერსპექტივა არ აქვს.“

შევიცარია

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სექცია 66 (1)-ში აღნიშნულია: „საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია გასცეს ბრძანება *ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის* საფოსტო კორესპონდენციის, სატელეფონო და სატელეგრაფო კომუნიკაციისთვის თვალყურის დევნებაზე ... თუ (ბ) მოსმენის გარეშე გამოძიება მნიშვნელოვნად უფრო რთული იქნებოდა ან თუ სხვა საგამოძიებო ზომებმა შედეგი არ მოიტანა.“

მიღებულ მონაცემთა შემონახვის, გამოყენების და შენახვის პროცედურა; სხვა მხარეთათვის მონაცემთა გადაცემისას მისაღები უსაფრთხოების ზომები.

ა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად (ვებერი და სარავია) მიღებული მონაცემების შემონახვისა და გამოყენების პროცედურა დეტალურ რეგულირებას საჭიროებს. კერძოდ, კანონი უნდა მოიცავდეს შეზღუდვებსა და უსაფრთხოების ზომებს ამ მონაცემთა სხვა უწყებებისათვის გადაცემისას. ამასთან, კანონი უნდა აწესებდეს შეზღუდვას ინფორმაციის ხანდაზმულობის ზედა ზღავრთან ან იმ ვადასთან დაკავშირებით, რომლის განამკვლობაშიც შესაძლებელია ინფორმაციის შენახვა (იხ. როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ, პარა.57).

ბ. საქართველოს კანონდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს რამოდენიმე დებულებას მიყურადების შედეგად მიღებულ მონაცემთა გამოყენების შესახებ.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მიღებული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას საგამოძიებო ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის, (მაგ. ჩხრეკის ორდერი, წინასწარი დაკავება, გირაო და ა.შ.) ასევე დანაშაულის პრევენციისათვის. ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია და გასაცნობად ხელმისაწვდომია კანონით დადგენილი წესით, მხოლოდ ამავე კანონით განსაზღვრული პირებისათვის. პროკურორს უფლება აქვს, მოტივირებული დადგენილებით მოახდინოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტებისა და მასალების განსაიდუმლოება, მათი მტკიცებულებების სახით გამოყენების მიზნით, თუ ამ დოკუმენტებისა და მასალების განსაიდუმლოება არ ხელყოფს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში. აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი მონაცემებისა და დოკუმენტების გამოყენება სამეცნიერო ან სხვა მიზნით მათი მოპოვებიდან 25 წლის განმავლობაში.

რაც შეეხება მონაცემთა შენახვას, მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი აღნიშნავს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას დგება ოქმი, რომელშიც აისახება, თუ რა პირობებში იქნა გამოყენებული ტექნიკური საშუალებები. ოქმი მოპოვებულ მასალებთან ერთად ინახება ამ კანონით დადგენილი წესების დაცვით. სამწუხაროდ, კანონი არაფერს ამბობს მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის შენახვის ვადის, კონკრეტული პროცედურებისა და პირობების შესახებ. უფრო მეტიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრაქტიკაში მოხდება ამ ინფორმაციის შენახვა წლების განმავლობაში, რადგან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად მოპოვებული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას სამეცნიერო ან სხვა მიზნებისათვის მხოლოდ მისი მოპოვებიდან 25 წლის გასვლის შემდეგ. აღნიშნულმა რეგულაცია გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კანონი არ აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში ასოციაცია “21 დეკემბერი 1989” რუმინეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიების ნაკლებობის ფონზე, პრობლემას წარმოადგენდა სატელეფონო მიყურადების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 16 წლის გასვლის შემდეგ.

რაც შეეხება სხვა მხარეთათვის მონაცემთა გადაცემისას გასატარებელ უსაფრთხოების ზომებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ამ კუთხით იცავს პირთა პირად ცხოვრებას, მათ

შორის პირადი საუბრების, კორესპონდენციისა და კომუნიკაციის საიდუმლოებას. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი ცნობების გახმაურება იმ პირის მიერ, რომელსაც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პორცესში ხელი მიუწვდებოდა ამ ინფორმაციზე, გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 313 მუხლით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. დასჯადია ასევე პირადი ან ოჯახური საიდუმლოების მოპოვება, შენახვა და გავრცელება, ისევე როგორც კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა და ინფორმაციის გამჟღავნება (სისხლის სამართლის კოდექსი, 157 -ე მუხლი - პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა, 158-ე მუხლი - კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კანონი არ ითვალისწინებს რაიმე პროცედურას უწყებებს შორის მონაცემთა გადაცემის, ისევე როგორც მეთვალყურეობით მოპოვებული ინფორმაციის გაშიფვრის მეთოდების შესახებ. კანონი ასევე არ მოიცავს ინფორმაციას ცნობათა მთლიანობის და კონფიდენციალურობის შენარჩუნების თუ მისი განადგურების პროცედურების შესახებ.

გ. საუკეთესო პრაქტიკა

გერმანია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი:

სექცია 98ა

[პირადი მონაცემების ავტომატიზირებული შედარება და გადაცემა]

(1) ... როდესაც არსებობს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ჩადენილია არსებითი მნიშვნელობის სისხლის სამართლის დანაშაული.

1. ნარკოტიკების ან იარაღის უკანონო ვაჭრობასთან ან ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებასთან დაკავშირებით;
2. ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (სასამართლოთა საკონსტიტუციო აქტი სექციები 74ა, 120)
3. ფართო საზოგადოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით;
4. სიცოცხლის უფლების, სექსუალური თვითგამორკვევის და პირადი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით.
5. კომერციულ ან განმეორებითი ქცევის საფუძველზე, ან
6. დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრის მიერ ან სხვა ორგანიზებული დანაშაულის გზით.

პერონალური მონაცემები იმ ფიზიკური პირების შესახებ, რომლებიც არიან გარკვეული მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების მატარებლები, შეიძლება ავტომატურად შედარდეს სხვა მონაცემებს, იმისთვის რომ გამოირიცხოს ის პირები, რომლებიც არ არიან ეჭვქვეშ ან გამოვლენილ იქნას გამოძიებისთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების მატარებელი ფიზიკური პირები. ეს ზომები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტული ფაქტების გამორკვევა ან დამნაშავის კოორდინატების დადგენა სხვა ზომების გამოყენებით, ნაკლებად წარმატებული ან ბევრად უფრო რთული აღმოჩნდებოდა გამოძიებისთვის ჭეშმარიტების დასადგენად.

(2) ქვესექცია (1) მიზნებისათვის, შემნახველი დაწესებულება მონაცემთა ბაზიდან ამოიღებს შედარებისთვის აუცილებელ ცნობებს და გადასცემს მათ შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს.

(3) იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ მონაცემთა იდენტიფიცირება და ამოღება მოითხოვს არაპროპორციულ ძალისხმევას, მოთხოვნის შემთხვევაში ასევე უნდა გაიცეს სხვა მონაცემები. ამ მონაცემთა გამოყენება დაუშვებელია.

(4) მთავარი პროკურატურის მოთხოვნით, შემნახველი დაწესებულება მას დახმარებას გაუწევს მონაცემთა შედარებაში.

სექცია 98ბ

[უფლებამოსილება; მონაცემთა დაბრუნება და ნაშლა]

(1) მონაცემთა შედარება და გადაცემა შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ სასამართლოს მიერ, ასევე მთავარი პროკურატურის მიერ გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში. ამ შემთხვევაში მთავარი პროკურატურა დაუყოვნებლივ მიმართავს სასამართლოს ქმედების კანონიერად ცნობის მიზნით. თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას სამი სამუშაო დღის განმავლობაში პროკურატურის დადგენილება შეწყვეტს მოქმედებას. დადგენილება გამოიცემა წერილობითი ფორმით. იგი მოიცავს ინფორმაციას იმ პირის შესახებ, რომელიც გასცემს მონაცემებს და შეზღუდულია მხოლოდ საქმისთვის კავშირში მყოფი შედარებითი მახასიათებლებით. მონაცემთა გადაცემა არ უნდა იყოს მოთხოვნილი იმ შემთხვევებში, როცა ფედერალური კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური წესები ან შესაბამისი ფედერალური მხარის კანონები, აწესებენ შეზღუდვას მათ გამოყენებაზე. სექცია 96 და 97, ასევე სექცია 98 ქვესექცია (1) მეორე წინადადება, იმოქმედებს *mutatis mutandis*.

(3) მონაცემთა საშუალებით მონაცემთა გადაცემისას, მათი დაბრუნება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, შედარების დასრულებისთანავე. სხვა მონაცემთა საშუალებებით გადაცემული პირადი მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს მას შემდეგ რაც გამოძიების ჩატარებისთვის ის აღარ იქნება საჭირო.

(4) სექცია 98ა გათვალისწინებული ღონისძიების დასრულების შემდეგ, აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს დაწესებულებას, რომელიც ზედამხედველობს სახელმწიფო უწყებათა მიერ მონაცემთა დაცვის წესების შესრულებას.

სექცია 98გ

[მონაცემთა შედარება დანაშაულის გამოძიებისას]

დანაშაულის გამოძიების ან ბრალდებული პირის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით, პროცესის შედეგად მოპოვებული პირადი მონაცემები შეიძლება ავტომატურად შედარდეს სხვა მონაცემებს, რომლებიც გამოძიების ხელშეწყობის, განაჩენის აღსრულების ან საფრთხის თავიდან აცილების მიზნითაა შენახული. ამ შემთხვევაში, უცვლელად იმოქმედებს კონკრეტული შეზღუდვების მატარებელი ფედერალური კანონები ან შესაბამისი ფედერალური ერთეულის კანონმდებლობა, რომლებიც სპეციალურ წესებს ითვალისწინებენ.

გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დასაშვებია ან სავალდებულოა ჩანაწერთა განადგურება.

ა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კანონმდებლობა ფარული მიყურადების შესახებ დეტალურად უნდა აღწერდეს დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემთა განადგურების პროცედურას. საქმეში „ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისი პროცედურა საკმარისად დეტალურად იყო გაწერილი და უწყება, რომელიც ინახავდა მონაცემებს, ვალდებული იყო ყოველ ექვს თვეში ერთხელ გადაემოწმებინა, ჯერ კიდევ იყო თუ არა აუცილებელი მონაცემების შენახვა იმ მიზნის მიაღწევად რა მიზნითაც მოხდა მათი მოპოვება თუ გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაცემები უნდა განადგურებულიყო, ნაშლილიყო, ან სულ მცირე შეზღუდულიყო მათზე წვდომა. ამასთან უნდა შემდგარიყო მონაცემთა განადგურების ოქმი და სექცია 3 (6) და 7 (4) გათვალისწინებულ შემთხვევებში პროცესი უნდა წარმართულიყო სასამართლო წარმომადგენლის ზედამხედველობის ქვეშ.

ბ. საქართველოს კანონმდებლობა

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ

ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს მის მაკომპრომიტირებელ ცნობებს, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით ამ პირის წინააღმდეგ. ასეთი ინფორმაცია არ შეიძლება შენახულ იქნეს და უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ, რის შესახებაც ეცნობება საქართველოს იუსტიციის მინისტრს ან საქართველოს მთავარ პროკურორს, აგრეთვე სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყების ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვან დაცვის მექანიზმს წარმოადგენს, მისი გამოყენება რამდენადმე შეზღუდულია, რადგან ამ მუხლის თანახმად, მხოლოდ ის ინფორმაცია უნდა განადგურდეს, რომელიც არ არის დაკავშირებული კრიმინალურ საქმიანობასთან და მაკომპრომიტირებელი ხასიათისაა. ეს დებულება არ ავალდებულებს უფლებამოსილ ორგანოს, წაშალოს ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული კრიმინალურ საქმიანობასთან. წარმოიშობა რისკი, რომ პირადი მონაცემები და ინფორმაცია შეიძლება შენახულ იქნას მიუხედავად იმისა უკავშირდება თუ არა იგი დანაშაულებრივ ქმედებას. ამასთან, ზემოაღნიშნული ნორმა არ აწესებს მონაცემთა განადგურების დოკუმენტურად დადასტურების ვალდებულებას და მხოლოდ იუსტიციის მინისტრის/მთავარი პროკურორის და ზედამხედველი ორგანოს ინფორმირების ვალდებულებაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულება წარმოადგენს მნიშვნელოვან დაცვის მექანიზმს ინფორმაციის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, დამატებით უნდა დაწესდეს ინფორმაციის განადგურების პროცესში ოქმის შედგენის ვალდებულება.

ამასთან, კანონი არაფერს ამბობს მოპოვებული მონაცემების, მაგალითად, პროცესის დასრულების ან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, განადგურების შესახებ.

გ. საუკეთესო პრაქტიკა

გერმანია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სექცია 100ა თანახმად „თუ არსებობს ფაქტობრივი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ქვესექცია (1) გათვალისწინებული ღონისძიების შედეგად ამოღებულ იქნება მხოლოდ პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი ძირითადი ინფორმაცია, ღონისძიების ჩატარება დაუშვებელია. პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია ქვესექცია (1) გათვალისწინებული ღონისძიების შედეგად, არ უნდა იქნას გამოყენებული. შესაბამისად ყველა ჩანაწერი დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. მონაცემთა მოპოვებისა და განადგურების ფაქტი დოკუმენტურად უნდა დადასტურდეს.“

სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა იქნას მიღებული ადვოკატსა და კლიენტს შორის პრივილეგირებული კომუნიკაციის დასაცავად

ა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

ფარული სატელეფონო მიყურადების იურიდიული საფუძვლები უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ადვოკატსა და მისი დაცვის ქვეშ მყოფს შორის გაცვლილი ინფორმაცია, რომელიც პრივილეგირებულ კატეგორიას მიეკუთვნება არ იქნება მოსმენილი. უფლება იურიდიულ დახმარებაზე დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაინტერესებულია იურისტის კონსულტაციით, უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს სამართლებრივი დახმარება ისეთ პირობებში, რომლებიც იძლევა ინფორმაციის თავისუფლად გაცვლის საშუალებას (საქმე „ქემბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარ. 46). ეს უფლება დაკარგავდა მნიშვნელობას თუ ფიზიკურ პირებს ექნებოდათ შიში იმისა, რომ მათი საუბარი ადვოკატთან ჩანერილი ან მოსმენილი იქნებოდა. შესაბამისად უნდა გატარდეს ზომები ამ სახის კომუნიკაციის საიდუმლოების დასაცავად. კანონით ისეთი პირობის განმტკიცება, რომელიც უზრუნველყოფდა ადვოკატსა და კლიენტს შორის საუბრების ხელშეუხებლობას, არ წარმოადგენს საკმარის დაცვის მექანიზმს. ნათელი უნდა გახდეს, რა ღონისძიებები ტარდება იმისათვის, რომ წესები პრაქტიკით იქნეს განმტკიცებული (იორდაკი მოლდოვის წინააღმდეგ, პარ. 50). საქმეში „კოპი შვიცარის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ქმედება არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს, რადგან კანონი და პრაქტიკა

სატელეფონო მიყურადების შესახებ ვერ უზრუნველყოფდა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგირებულ კატეგორიას მიკუთვნებული ინფორმაციის უსაფრთხო გაცვლას. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის კანონმდებლობით, აკრძალული იყო ადვოკატსა და კლიენტს შორის სატელეფონო საუბრის მიყურადება, პრაქტიკაში ხდებოდა საუბრების მოსმენა. შვეიცარიის მთავრობამ განაცხადა, რომ შვეიცარიის კანონმდებლობის თანახმად, დებულება ადვოკატ-კლიენტის საუბრის კონფიდენციალურობის შესახებ არ იცავდა ადვოკატებსა და კლიენტებს შორის გაცვლილ გარკვეული სახის ინფორმაციას (მაგალითად ინფორმაციას ფინანსური ბრუნვის შესახებ). ამიტომ, შვეიცარიის მთავრობამ სცადა განეცალკევებინა პრივილეგირებული ინფორმაცია, რომელიც შეტანილი იყო საქმის მასალებში და არაპრივილეგირებული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება შეტანილიყო საქმის მასალებში და გამოყენებულიყო სასამართლოს მიერ. პიროვნება, რომელსაც დაევალა ამ ორი სახის ინფორმაციის განცალკევება, მუშაობდა იურისტის თანამდებობაზე საფოსტო დეპარტამენტში, რომელიც სახელმწიფოს საკუთრება იყო და ევალებოდა სატელეფონო კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა. სასამართლომ გააკრიტიკა ეს არგუმენტაცია იმ მოტივით, რომ არასაკმარისად ნათელი იყო პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული ინფორმაციის განცალკევების პროცედურა. სასამართლომ აღნიშნა: „სულ მცირე გამოკვებელია, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი მოსამართლის ზედამხედველობის გარეშე დავალება მიეცა ფოსტის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელ საჯარო მოხელეს, რომელიც აღმასრულებელი შტოს წარმომადგენელია. აღნიშნული პირდაპირ არის კავშირში დაცვის უფლებასთან.“

ამის საპირისპიროდ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოინონა ჰოლანდიის კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის ზომები საქმეში „ალმუსი ნიდერლანდების წინააღმდეგ.“ ჰოლანდიის კანონმა ერთმანეთისგან განასხვავა ადვოკატი, როგორც ბრალდებული და ადვოკატი, როგორც მესამე მხარე. თუ ადვოკატი ბრალდებულის როლში გამოდის, მისი სატელეფონო საუბრის მიყურადება ნებადართულია, მაგრამ ცალკე უნდა გამოიყოს ის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვის ქვეშ ხვდება. ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი ჩართული იყო გადანყვეტილების მიღების პროცესში, როდესაც ხდებოდა მასალების დახარისხება. აკრძალული იყო ადვოკატის სატელეფონო საუბრების მიყურადება, იმ შემთხვევაში როდესაც იგი არ წარმოადგენდა ბრალდებულს საქმეში. ადვოკატსა და კლიენტს შორის პრივილეგირებული კომუნიკაციის ფარგლებში შემდგარი სატელეფონო საუბრის შემცველი ინფორმაცია, რომელზეც განხორციელდებოდა მიყურადება (მაგალითად იმიტომ რომ ეჭვმიტანილმა დაურეკა ადვოკატს) უნდა გაეშიფრა პროკურორს. პროკურორმა გამოსცა ბრძანება, მომხდარიყო პრივილეგირებული ინფორმაციის კატეგორიაში მოხვედრილ მონაცემთა განადგურება. მოსამართლის თანხმობით საქმის მასალებში მხოლოდ არაპრივილეგირებული ინფორმაციის შემცველ მონაცემთა შეტანა იყო დასაშვები.

ბ. საქართველოს კანონმდებლობა

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი და „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 43-ე მუხლი ადგენს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია კონფიდენციალურია. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს ეკრძალებათ ადვოკატისა და იმ სხვა პირების კონფიდენციალური ხელშეწყობის გამოყენება, რომლებიც ვალდებულნი არიან დაიცვან პროფესიული საიდუმლოების ხელშეუხებლობა.

მართალია საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების გარანტიებს, მაგრამ იგი არ ადგენს აღნიშნული გარანტიის დაცვის პროცედურებს. საქმეში „იორდაკი და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ“ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გააკრიტიკა მსგავსი დებულება და აღნიშნა, რომ არ არსებობდა ნათლად განსაზღვრული წესები იმის შესახებ, თუ რა მოხდებოდა, მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდებოდა კლიენტის მიერ მის ადვოკატთან განხორციელებული ზარის მიყურადება (პარ. 50). საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ შეიცავს წესებს, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა აღნიშნული გარანტიის აღსრულებას. საჭიროა არსებობდეს ნათლად განსაზღვრული წესები, რომელიც დაადგენდა, თუ რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას აღნიშნული გარანტიის პრაქტიკაში დანერგვის უზრუნველსაყოფად.

ზედამხედველობის მექანიზმი

ა. დამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კანონის აღსრულებას. ზედამხედველობა უნდა შეესაბამებოდეს ზოგადად მიღებულ დემოკრატიის პრინციპებს. იგი უნდა განახორციელოს უწყებამ, რომელიც დამოუკიდებელია ღონისძიების გამტარებელი უწყებისგან.

ბ. საქართველოს კანონმდებლობა

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, მათ შორის მოსმენის, განხორციელების ექსკლუზიური უფლება აქვთ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ ორგანოებსა და საგამოძიებო დანაყოფებს; საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიულ ორგანოებს; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოპერატიულ ორგანოებსა და საგამოძიებო დანაყოფებს; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლებს და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურს; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიულ, საგამოძიებო და სადაზვერვო ქვედანაყოფებს; საქართველოს დაზვერვის სამსახურის ოპერატიულ ორგანოებს; პროკურატურის გამომძიებლებს; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლებს და ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებს.

ზემოსხენებული უწყებების მიერ წარმოებულ ფარულ მიყურადებაზე კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო უწყების ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება. საქმიანობის კანონიერებას ზედამხედველობენ იუსტიციის მინისტრი და მის დაქვემდებარებაში მყოფი პროკურორები. რაც შეეხება სასამართლო კონტროლს, მოსამართლე გასცემს ნებართვას სატელეფონო მიყურადების შესახებ, იქიდან გამომდინარე რომ ეს ღონისძიება ზღუდავს კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

მიყურადების პროცესზე დაკვირვება და კონტროლი სამ ეტაპზეა შესაძლებელი: მიყურადების შესახებ დადგენილების პირველად გამოცემის შემდეგ, უშუალოდ მიყურადების პროცესში და მიყურადების დასრულების შემდეგ. საქართველოს კანონმდებლობით, პირველადი კონტროლი ხორციელდება სასამართლოს მიერ, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეფექტურ კონტროლად მიიჩნევს („კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, პარ. 55), იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო კონტროლი უზრუნველყოფს დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და სათანადო პროცედურის დაცვის საუკეთესო გარანტიას. მიუხედავად ამისა, კანონი არ მოიცავს დებულებას მეთვალყურეობის შედეგების მოსამართლისათვის გაცნობის შესახებ. კანონი მოსამართლეს არ ავალდებულებს იმის შემოწმებას, თუ რამდენად იქნა დაცული კანონის მოთხოვნები მიყურადების პროცესში.

მომდევნო ეტაპზე კონტროლი ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო უწყების ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა. საქმიანობის კანონიერებას ზედამხედველობს იუსტიციის მინისტრი და მის დაქვემდებარებაში მყოფი პროკურორები. მიუხედავად ამისა, კანონში არ არის დეტალურად აღწერილი, თუ როგორ ხორციელდება კონტროლი. საბოლოო ეტაპზე ფარული მიყურადების კონტროლი და ზედამხედველობა იუსტიციის მინისტრისა და პროკურატურის პრეროგატივაა - უწყებების, რომლებიც თავისი საქმიანობის თვალსაზრისით ნამდვილად დამოუკიდებელი არიან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი სხვა კომპეტენტური ორგანოებისაგან. (თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსმენას ახორციელებს თვით იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული). მიუხედავად ამისა, ეს უწყებები აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილს წარმოადგენენ, რის გამოც ვერ ვიტყვით, რომ დამოუკიდებელი არიან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი უწყებისგან. ზედამხედველობის უფლების განხორციელება დამოუკიდებელ ორგანოს უნდა ქონდეს მინდობილი.

გ. საუკეთესო პრაქტიკა

გაერთიანებული სამეფო (საბოლოო ზედამხედველობა ევალება სპეციალურ კომისარს)

საგამოძიებო უფლებამოსილებათა შესახებ კანონის სექცია 57 ითვალისწინებს, რომ პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს *კომუნიკაციების მიყურადების ოფიცერს*. ეს უნდა იყოს პირი, რომელსაც უკავია ან ეკავა თანამდებობა სასამართლო ხელისუფლებაში. ოფიცერი ინიშნება სამწლიანი განახლებადი ვადით. ოფიცრის ფუნქციებში შედის: კომუნიკაციის მოსმენის სფეროში სახელმწიფო მდივნის საქმიანობის ზედამხედველობა, ვალდებულება რომელიც მას საგამოძიებო უფლებამოსილებათა შესახებ კანონით ეკისრება; იმ პირების საქმიანობა, უფლებამოსილებები და მოვალეობები კომუნიკაციის მიყურადებასთან დაკავშირებით, რომლებსაც აღნიშნული საქმიანობის შესრულების ვალდებულება კანონით ეკისრებათ; იმ ნორმების ადეკვატურობა, რომლებიც სახელმწიფო მდივანს აკისრებენ ვალდებულებას სექცია 15 შესაბამისად. ზედამხედველობის მექანიზმი კომუნიკაციების მიყურადების ოფიცერს საშუალებას აძლევს გაეცნოს მიყურადების შესახებ განცხადებას, რომელსაც დაეყრდნო სახელმწიფო მდივანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საგამოძიებო უფლებამოსილებათა შესახებ კანონის სექცია 58 თანახმად, იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ მიყურადების შესახებ ნებართვის გაცემისა თუ უშუალოდ მიყურადების პროცესში, ეკისრებათ ვალდებულება ოფიცერს გაუმჟღავნონ ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ უკანასკნელის ფუნქციების შესასრულებლად. თუ ოფიცერი აღმოაჩენს, რომ ადგილი ჰქონდა საგამოძიებო უფლებამოსილებათა შესახებ კანონის ნორმების დარღვევას, ან სექცია 15-ით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმები არაადეკვატური აღმოჩნდა (ხსენებული კანონის სექცია 58(2) და (3)), იგი ვალდებულია ამის შესახებ მოახსენოს პრემიერ-მინისტრს. ასევე ოფიცერი წარუდგენს პრემიერ-მინისტრს წლიურ ანგარიშს, მისი საქმიანობის შესახებ (სექცია 58(4)). სექცია 58 (6)-ის თანახმად, ოფიცირის მიერ წარდგენილ წლიურ ანგარიშს პრემიერ-მინისტრი გააცნობს პარლამენტს.

მოლდოვის რესპუბლიკა (პარლამენტის ზედამხედველობა)

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის 38-ე მუხლი ითვალისწინებს პარლამენტის ზედამხედველობას. აღნიშნულის ვალდებულება ეკისრება ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ოფიცერს. სპეციალური საგამოძიებო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 15 იანვრამდე გენერალურ პროკურორს წარუდგინოს სპეციალური გამოძიების ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ა) სპეციალური საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების შესახებ ნებართვების რაოდენობა, ბ) გაუქმებული სპეციალური საგამოძიებო ღონისძიების რაოდენობა, გ) საგანგებო საგამოძიებო ღონისძიებათა შედეგები. გენერალური პროკურორი, მიღებული ანგარიშებისა და არსებული ინფორმაციის საფუძველზე ყოველი წლის 15 თებერვლამდე ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ოფიცერს წარუდგენს ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობის საბოლოო ანგარიშს. კომისიამ შეიძლება მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საგანგებო საგამოძიებო საქმიანობაზე, თუ იგი მიიჩნევს, რომ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულია.